ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული

თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი N1

ქ. ხონი

30 მარტი 2022 წელი

2022 წლის 30 მარტს გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა რომელსაც ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე კობა კუბლაშვილი საბჭოს 23 წევრიდან სხდომას ესწრებოდნენ: ვალერი ბახტაძე, გელა ჩოგოვაძე, მანანა გოფოძე, ზაზა ვაშაკიძე, დემური სულაბერიძე, ფურამი ბახტაძე, ზურაბ მიქაძე, ზაზა რუხაძე, ბაჩანა ბასილაია, მანანა აკობიძე, ეთერი უგულავა, თეკლა ონიანი, ელისო ჯიქია, აკაკი ქვათელაძე .

სხდომის დღის წესრიგი:

1. საორგანიზაციო საკითხები.
   მომხსენებელი: კობა კუბლაშვილი - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე
2. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 – 2023 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ
   მომხსენებელი: ელისო ჯიქია - საბჭოს წევრი

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე: „საორგანიზაციო საკითხები“ საბჭოს წევრებს მიმართა საბჭოს თავმჯდომარემ კობა კუბლაშვილმა, მან აღნიშნა რომ მოხდა საბჭოს გადახალისება, საბჭოს ახალ წევრებს უსურვა წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა საბჭოს მდივნად აკაკი ქვათელაძის კანდიდატურა რომელსაც საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე: „გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 – 2023 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ“ საბჭოს წევრების წინაშე მოხსენებით წარსდგა ელისო ჯიქია - საბჭოს წევრი. მომხსენებელმა ისაუბრა გენდერული საბჭოს სამუშაო გეგმის ეფექტურად განხორციელებაზე. საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება წარმოდგენილი გეგმა გაიწეროს 2024 წლის ჩათვლით , ამასთან ერთად საბჭოს წევრების მიერ სამოქმედო გეგმაში შერტანილ იქნა რიგი ცვლილებებისა და აღინიშნა რომ წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით წარედგინოს საკრებულოს განსახილველად საბჭოს სამოქმედო გეგმის განკარგულების პროექტი. საბჭოს წევრებმა დაეთანხმნენ გამოთქმულ მოსაზრებას.

გენდერული თანასწორობის სხდომის

თავმჯდომარე : კობა კუბლაშვილი

სხდომის მდივანი: აკაკი ქვათელაძე